თანამშრომლობის ხელშეკრულება
საქართველოს ადგილობრივ თვითმმართველობათა ეროვნული ასოციაციასა
და მის წევრ მუნიციპალიტეტს შორის

№ 03/21

ქ.თბილისი 7 თებერვალი 2011წ.

ერთი მხრივ საქართველოს ადგილობრივ თვითმმართველობათა ეროვნული ასოციაცია ასოციაციის პრეზიდენტის **მამუკა აბულაძის** სახით და მეორე მხრივ ასოციაციის წევრი **თიანეთის მუნიციპალიტეტის** საკრებულოს თავმჯდომარის **გია წიკლაურის** სახით ვაფორმებთ თანამშრომლობის ხელშეკრულებას შემდეგზე:

I. ზოგადი დებულებები

1.1. თანამშრომლობის ხელშეკრულება საქართველოს თვითმმართველობათა ეროვნულ ასოციაციის (ტექსტში შემდგომ „ასოციაცია") წესდების შესაბამისად განსაზღვრავს ასოციაციისა და ასოციაციაში გაერთიანებული თვითმმართველი ერთეულის **თიანეთის მუნიციპალიტეტის** (ტექსტში შემდგომ „წევრი") ურთიერთ მოვალეობებს და არეგულირებს ასოციაციისა და მისი წევრის საქმიანობას ორგანიზაციულ, საფინანსო და წესდებით განსაზღვრულ სხვა სფეროებში.

1.2. თანამშრომლობის ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულება სავალდებულოა ხელშეკრულების ორივე მხარისათვის.

1.3. მხარეები თავის საქმიანობისას ხელმძღვანელობენ საქართველოს ორგანული კანონით „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ", „საქართველოს სამოქალაქო კოდექსით", საქართველოს კანონმდებლობით, ასოციაციის წესდებით და ასოციაციის სხვა შიდა სამართლებრივი აქტებით.

1.4. თანამშრომლობის ხელშეკრულების მიზანია ხელი შეუწყოს თვითმმართველი ერთეულების - ასოციაციის წევრების განვითარებას, უზრუნველყოს ასოციაციისა და მისი წევრების მონაწილეობა მუნიციპალური განვითარების სახელმწიფო პოლიტიკის დაგეგმვასა და განხორციელებაში.

II. მხარეების მოვალეობები

2.1. ხელშეკრულებით ასოციაცია ვალდებულებას იღებს:

ა) უზრუნველყოს ასოციაციის წევრის მონაწილეობა მუნიციპალური განვითარების სახელმწიფო პოლიტიკის დაგეგმვასა და განხორციელებაში; მიაწოდოს მათ ინფორმაცია მუნიციპალური პოლიტიკის სფეროში მიმდინარე მდგომარეობის შესახებ;

ბ) ასოციაციის წევრთან ერთად განსაზღვროს თვითმმართველობის განვითარების ძირითადი პრობლემები, დასახოს მათი გადაწყვეტის გზები, კოორდინაცია გაუწიოს სამოქალაქო ინიციატივებს;

გ) შეისწავლოს და მოახდინოს ასოციაციის წევრის გამოცდილების განზოგადება; პერიოდულად მიაწოდოს შესაბამისი ინფორმაცია ასოციაციის წევრებს;

დ) ორგანიზაცია გაუწიოს და ჩაატაროს ასოციაციის წევრის თვითმმართველობის მოსამსახურეთათვის სემიანრები, სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციები და სამუშაო შეხვედრები;

ე) უზრუნველყოს კავშირურთიერთობისა და თანამშრომლობის დამყარება საქართველოსა და საზღვარგარეთ მოქმედ სხვა ანალოგიურ ორგანიზაციებთან, არასამთავრობო სექტორთან; მონაწილეობა მიიღოს სემინარებსა და კონფერენციებში, უზრუნველყოს მიღებული ინფორმაციისა და დოკუმენტაციის გავრცელება ასოციაციის წევრებს შორის;

ვ) ხელი შეუწყოს ასოციაციის წევრს საერთაშორისო ეკონომიკური და კულტურული კავშირურთიერთობათა დამყარებასა და განვითარებაში;

ზ) გაუწიოს დახმარება ასოციაციის წევრს ადგილობრივი თვითმმართველობის საკანონმდებლო და ნორმატიული ბაზის ფორმირების სფეროში;

თ) მოახდინოს ასოციაციის წევრის მიერ თვითმმართველობის სფეროში მოქმედი კანონებისა და კანონპროექტების შესახებ გამოთქმული შენიშვნებისა და წინადადებების შეკრება, სისტემატიზაცია და ანალიზი;

ი) შეიმუშაოს წინადადებები და დახმარება გაუწიოს ასოციაციის წევრს მართვის ეფექტური ფორმების დანარგვის, სტრუქტურების ოპტიმიზაციის, კადრების მართვის, აგრეთვე კანონმდებლობით მინიჭებული უფლებამოსილებების სრულყოფილად განსახორციელების საკითხებში;

კ) ასოციაციის წევრს გაუწიოს საინფორმაციო და საკონსულტაციო მომსახურება ადგილობრივი თვითმმართველობის განვითარების, მოქმედი კანონმდებლობის გამოყენების, თვითმმართველობის სამართლებრივი აქტების საქართველოს კანონმდებლობასთან შესაბამისობაში მოყვანის საკითხებში;

ლ) უზრუნველყოს ასოციაციის წევრისათვის ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს წევრებისა და მოხელეთა სწავლების ორგანიზება; მეთოდოლოგიური, სამეცნიერო-კვლევითი და სარეკომენდაციო მასალების მომზადება, გამოცემა და გავრცელება;

მ) დახმარება გაუწიოს ასოციაციის წევრს აღრიცხვის, სელექციისა და ანალიზის, საინფორმაციო ქსელის და თვითმმართველი ერთეულის ვებ-გვერდის შექმნის, თვითმმართველობის ერთიანი საინფორმაციო ბანკის ფორმირების საკითხებში.

2.2. ასოციაციის წევრი ვალდებულებას იღებს:

ა) დაიცვას ასოციაციის წესდება, თანამშრომლობის ხელშეკრულება და ასოციაციის ორგანოთა მიერ მათ კომპეტენციის ფარგლებში მიღებული გადაწყვეტილებები;

ბ) ასოციაციის ხელმძღვანელი ორგანოების მიერ დადგენილ ვადაში და ოდენობით გადაიხადოს საწევრო და ხელშეკრულებით დადგენილი სხვა შენატანები;

გ) მონაწილეობდეს ასოციაციის საქმიანობაში;

დ) შეასრულოს ასოციაციის ორგანოების მიერ მიღებული გადაწყვეტილებები;

ე) მიაწოდოს ასოციაციის ორგანოებს საქმიანობისათვის საჭირო ინფორმაცია;

ვ) დაიცვას ასოციაციის და ასოციაციის წევრთა ინტერესები; გაუფრთხილდეს ასოციაციის ავტორიტეტსა და ქონებას.

III. საწევროს ოდენობა და გადახდის წესი

3.1. 2011 წლისთვის წევრი მუნიციპალიტეტებისთვის საწევროს ოდენობა განისაღვრა 0,02 ლარით ერთ სულ მოსახლეზე. შესაბამისად, ამ ხელშეკრულებით **თიანეთის** მუნიციპალიტეტისთვის საწევრო გადასახადის ოდენობა შეადგენს 264.00 ლარს.

3.2. საწევროს გადახდა ხდება წელიწადში ერთხელ ყოველი წლის 1 მბრამდე.

3.3. დადგენილ ვადაში საწევროს გადაუხდელობის შემთხვევაში ასოციაციის წევრსა და ასოციაციის აღმასრულებელი საბჭოს შორის იდება შეთანხმება დავალიანების დაფარვის შესახებ. საწევროს გადაუხდელობა არის საფუძველი ასოციაციის აღმასრულებელი საბჭოს მიერ წევრის გარიცხვის შესახებ გადაწყვეტილების მიღებისათვის.

3.4. ასოციაცია ვალდებულია ყოველწლიურად მიაწოდოს ინფორმაცია ასოციაციის წევრებს საწევროების ხარჯვის შესახებ.

IV. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

4.1. ხელშეკრულება ძალაში შედის მისი ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს ასოციაციის წევრის დადგენილი წესით ასოციაციიდან გასვლამდე.

V. დასკვნითი დებულებები

5.1. თანამშრომლობის ხელშეკრულებაში ცვლილებები და დამატებები შეიძლება შეტანილი იქნეს მხოლოდ ორმხრივი წერილობითი შეთანხმების საფუძველზე.

5.2. ხელშეკრულება დგება ორ ეგზემპლარად. ერთი რჩება ასოციაციას, ხოლო მეორე ინახება ასოციაციის წევრთან.

5.3. მხარეთა რეკვიზიტები:

საქართველოს
თვითმმართველობათა ეროვნული
ასოციაცია

. თბილისი. ნაფარეულის ქ.№9ა 0179;
ილ 726734: 726735
ქსი 251526

საქართველოს თვითმმართველობათა ეროვნული ასოციაციის პრეზიდენტი	თიანეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე
----------/მ.აბულაძე/	----------/გ. წიკლაური/
„7--“ „თებერვალი“ 2011 წ.	„-----“ „----------“ 2011 წ.
ბ.ა.	ბ.ა.